საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-609

01/07/2019

ქ. თბილისი

“ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, შპს “საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მდ. რიცეულაზე, 6,32 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (რიცეულა ჰესი), ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ”

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, შპს “საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მდ. რიცეულაზე, 6,32 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (რიცეულა ჰესი), ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტზე სკოპინგის დასკვნა N47 (19.04.2019წ.);
2. შპს “საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციამ“ სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N47 (19.04.2019წ.) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს “საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს “საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი